

ხსკოს დაკომპლექტებაზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა
დააბრკოლებს ევროინტეგრაციის პროცესს

ერთობლივი განცხადება

ცესკოს დაკომპლექტებაზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა დააბრკოლებს ევროინტეგრაციის პროცესს

2024 წლის 19 მარტს საქართველოს პარლამენტმა ჩააგდო პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში [D](#) ოცნების [P](#) უმრავლესობის მიერ მიღებული ცვლილებების მიმართ, რომლებიც აშკარად [წინააღმდეგება](#) ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების არჩევასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის მიერ გაცემულ [რეკომენდაციებს](#).

ამრიგად, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევით, [D](#) ოცნების [P](#) კონტროლირებულმა პარლამენტმა შეგნებულად ხელიდან გაუშვა პრაქტიკულად ბოლო მანძი შეესრულებინა 2024 წლის არჩევნების წინ ევროკომისიის [მოთხოვნები](#), რომლებიც

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მოახლოვებულ, არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო რეფორმის ბოლომდე მიყვანას, ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინებას და საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას მოიცავს.

შედეგად ოცნების ეს ნაბიჯი შეუძლებელია შეფასდეს სხვაგვარად, თუ არა როგორც კიდევ ერთი შემაფერხებელი გარემოება ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია